ოქმი N3

ქ.ქუთაისი

29 ივნისი 2023 წ.

საბიუჯეტო კალენდრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და სამუშაო ჯგუფთან შეხვედრების განრიგით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ.

1.მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტის დოკუმენტის და საშვალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით საბიუჯეტო და დარგობრივი სამსახურებისათვის სწავლების ორგანიზება.

საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული საფინანსო სამსახურის უფროსის წინადადება,კერძოდ 2024-2027 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუვალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით, საბიუჯეტო და დარგობრივი სამსახურებში აღნიშნულ პროგრამებზე/ქვეპროგრამა მომუშავე პირებს გაწეოდათ შესაბამისი კონსულტაციები ანუ სწავლების ორგანიზება.

მ/წლის 5 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით საბიუჯეტო ორგანიზაციების (ააპები) და დარგობრივი სამსახურების თანამშრომლების საბიუჯეტო დაგეგმისა და ანალიზის განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისს N385 ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად. გადაეცათ შესაბამისი დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტში წარმოსადგენ ფორმათა ნიმუშები წარდგენისათვის საჭირო ვადების მითითებით.

ვთვლით, რომ აღნიშნული ღონისძიება უნდა გაგრძელდეს მომავალშიც, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის უკეთ ფორმირებას.

საფინანსო პოლიტიკის და სახელმწიფო შესყიდვების

სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის კორდინატორი) დ.ნიშნიანიძე